საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №39, ბენზინ და დიზელ გასამართი სადგურისა და დამხმარე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის, ს/კ№01.13.05.004.189 საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა “.

შ.პ.ს “სუპერგაზი”-ს თხოვნით ჩვენს მიერ 2020 წლის ნოემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №39, ბენზინ და დიზელ გასამართი სადგურისა და დამხმარე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№**01.13.05.004.189,** ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №39, ბენზინ და დიზელ გასამართი სადგურისა და დამხმარე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№**01.13.05.004.189,** ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის ნოემბერში, სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი თ. კვეტენაძე. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტისს თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 11 გვ.
2. ტექნიკური დავალება----------1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე----------1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა----------1 ფურც.
5. სამთო გამონამუშავების ლითოლოგიური სვეტები----------1 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი----------1 ფურც.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი, თითოეული 6.0 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნება ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი ფენა
2. ფენა 2 - თიხნარი ძნელპლასტიკური.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეოლორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. საპროექტო ობიექტის დაფუძნება მოხდება ფენა ორზე ამიტომ მისი თვისებები ანგარიშში დეტალურად არის განხილული.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპირო №39, ბენზინ და დიზელ გასამართი სადგურისა და დამხმარე შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№01.13.05.004.189, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/